netgazeti.ge

ვის შეხვდება დევიდ ლინჩი საქართველოში

18-22 ნოემბერს საქართველოში ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი ჩამოვა. ლინჩის ვიზიტთან დაკავშირებით, დღეს, 15 ნოემბერს, "თბილისი მარიოტში" პრესკონფერენცია გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში დევიდ ლინჩი სტუდენტებს, ჟურნალისტებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

"მოუთმენლად ველი საქართველოში ჩემი ვიზიტის დაწყებას, ჩვენ ავხსნით და ბევრს ვისაუბრებთ ტრანსცენდენტალური მედიტაციის შესახებ და იმაზე, თუ რა სარგებელი მოაქვს მას კაცობრიობისათვის. ეს მშვენიერი მოგზაურობა იქნება",- ამბობს ლინჩი მიმართვაში, რომელიც საქართველოში გამოგზავნა.

როგორც ვიზიტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნინა ცაგარელმა განაცხადა, დაგეგმილია ლინჩის შეხვედრა განათლების მინისტრთან, კულტურის მინისტრთან, თბილისის მერთან და პრემიერ-მინისტრთან. შეხვედრაზე განათლებისა და კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობას განიხილავენ.

ლინჩის ვიზიტი უკავშირდება მისი სახელობის ფონდის საქართველოში დაარსებას, რომელიც 2017 წლის ივლისში დაფუძნდა. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია დევიდ ლინჩის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება და TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართავს რეჟისორი შეხვედრებს თბილისში.

ლინჩი თბილისის აეროპორტში 18 ნოემბერს, 20:00 საათზე, ჩამოფრინდება. დაგეგმილია პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტებს შეკითხვების დასმის შესაძლებლობა ექნებათ.

20 ნოემბერს, 19:00 საათზე, კინოთეატრ "ამირანში" ლინჩის ფილმის "მალჰოლანდ დრაივის" ჩვენება გაიმართება, სადაც რეჟისორი მისასალმებელი სიტყვით მიმართავს იქ მყოფ საზოგადოებას. 20 ნოემბერსვე ლინჩი კლუბში "ხიდი" სტუდენტებს შეხვდება და მათ გაესაუბრება ტრანსცენდენტალური მედიტაციის ტექნიკის საშუალებით შემოქმედებით საქმიანობაში სრული პოტენციალის გამოყენებაზე.

დევიდ ლინჩი 44 წლის წინ დაინტერესდა მედიტაციით, თუმცა ტრანსცენდენტალური მედიტაციის მეთოდი შედარებით გვიან აღმოაჩინა.

"მე გავიგე, რომ ნამდვილი ბედნიერება არ არის სადღაც გარეთ, ნამდვილი ბედნიერება ჩვენს შიგნითაა. მე ვცადე მედიტაციის სხვადასხვა ფორმა და საბოლოოდ ვიპოვე ტრანსცენდენტალური მედიტაცია. ის ნამდვილი დალოცვაა ადამიანებისთვის. ეს მედიტაციის უძველესი ფორმაა, რომელიც მაჰარიში მაჰეშ იოგიმ "გააცოცხლა". ყველა ადამიანშია განძი, ტრანსცენდენტალური მედიტაცია კი არის ნაცადი და ნამდვილი გზა, რომ დაუკავშირდე ამ საგანძურს", – ამბობს დევიდ ლინჩი.

ტრანსცენდენტალური მედიტაცია მარტივი პროცედურაა, რომელსაც დღეში 20 წუთი უნდა დაუთმოთ. მედიტაციის დროს კომფორტულად უნდა მოთავსდეთ და თვალები დახუჭოთ. ეს არც რელიგიია, არც ფილოსოფია და არც ცხოვრების წესი. როგორც ტრანსცენდენტალური მედიტაციის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, ის თვითგანვითარების ყველაზე ფართოდ გავრცელებული მრავალგზის გამოკვლეული და ყველაზე ეფექტური მეთოდია.

WHOM WILL DAVID LYNCH MEET IN GEORGIA

The American film director David Lynch will arrive in Georgia on the 18-20 of November. A press-conference concerning Lynch's visit was held today on the 15th of November in Tbilisi Marriott. In the frame of the visit David Lynch will meet with students, journalists and the representatives of Government.

"I'm looking forward to starting my visit in Georgia. We'll explain and talk much about Transcendental Meditation and about its benefits on the mankind. This will be a fantastic journey." Says Lynch in his speech sent to Georgia.

According to one of the organizers of the visit Nina Tsagareli Lynch will meet with the Minister of Education, Minister of Culture, City Mayor and Prime Minister. Possibilities of cooperation in Cultural and Educational spheres will be discussed.

Lynch's visit is related to the establishment of his Foundation in Georgia, which was founded in July of 2017. Its main purposes include establishment of David Lynch American University and A class film festival, as well as psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder by means of Transcendental Meditation. These are the topics that will be discussed by the film director at the meetings in Tbilisi.

Lynch will arrive in the airport of Tbilisi on the 18th of November at 20:00. A press-conference will be held where journalists will be able to ask questions.

On the 20th of November at 19:00 there will be a screening of Lynch's film "Mulholland Drive" in the movie theatre "Amirani" where Lynch will make a greeting speech for the attendants. On the same day Lynch will meet with the students in the cub "Khidi" and will talk to them about implementation of the full potential during their creative work by means of the technique of Transcendental Meditation.

David Lynch was interested in meditation 44 years ago. But it was relatively later when he discovered Transcendental Meditation.

"I found out that real happiness is not somewhere else, real happiness is inside of us. I tried different forms of meditation and finally I found Transcendental Meditation. It's a real bless for a human. This is very ancient form of meditation that has been revived by Maharishi Mahesh Yogi. There is treasure inside every human being. And Transcendental Meditation is a proven and real way of connecting to this treasure", - says David Lynch.

Transcendental Meditation is a simple procedure which takes you only 20 minutes a day. You need to sit comfortably and close your eyes. This is not a religion, not a philosophy and not a life style. According to the official web site of Transcendental Meditation this is broadly spread, many times researched and the most efficient method.

During Transcendental meditation one's mind moves into a state of transcendental awareness/consciousness, when the functions of the brain are in the highest coherence between each other and the human body gets the deep rest. According to Ashley Deans the brain condition gained by Transcendental Meditation is the main source of creativity.

According to the President of David Lynch Foundation in Caucasus, Giga Agladze, there are approximately 1000 people practicing Transcendental Meditation.

"Of course David Lynch will meet with these people as well as he will meet with others and try to interest them with this technique. This is very simple and easy to do technique which helps you to get rid of stress. The 21st century is a time of stress and neurosis, this is simple method to be healthy", - says Agladze.

The co-host of Lynch's visit is the committee of Education, Culture and Science. The Movie Theatre "Amirani", hotels "Tbilisi Marriott" and "Rooms" and a restaurant "Vinotel" are involved in the organization of the visit.